

**პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა“
და იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ სომხური თარგმანი**

მაია რაფავა

*ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წამყვანი სპეციალისტი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

რეზიუმე: პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ და იოანე პეტრიწის „განმარტებები“ ქართული ენიდან სომხურ ენაზე ითარგმნა 1248 წელს სამხრეთ საქართველოში მოღვაწე ქალკედონიტი ბერის, სიმეონ პლინძაჰანეცის მიერ. სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია გარკვეული ეჭვები სომხური თარგმანის ქართულიდან წარმომავლობის შესახებ. ქართული და სომხური ტექსტების ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური შესწავლით უცილობლად დგინდება, რომ სომხური ტექსტი ქართულიდან არის შესრულებული. მთელი რიგი ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით, სომხურ თარგმანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროკლეს „კავშირნისა“ და იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ ქართული ტექსტის შესწავლის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: *პროკლე დიადოხოსი, იოანე პეტრიწი, სიმეონ პლინძაჰანეცი, ამელახოხი.*

პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა“ და იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ შესახებ არსებულ დიდძალ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მოკრძალებული ადგილი უკავია გამოკვლევებს მათი სომხური თარგმანის შესახებ. ქართულ მეცნიერებაში ი. აბულაძემ წინასწარი ნარკვევების სახით მიმოიხილა ისინი (1, 17-28; 2, 29-40;). სომეხ მკვლევართა ინტერესების ობიექტი მხოლოდ სომხური თარგმანის წარმომავლობისა და ავტორობის საკითხი აღმოჩნდა (4; 11, 667-668; 21, 122; 22, 151-152; 23, 99-100; 24, 148). ამით შემოიფარგლა სომხური თარგმანის შესწავლის ისტორია. არადა, სომხურ თარგმანს უცილობლად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“, ასევე პეტრიწის „განმარტებათა“ მეცნიერული კვლევა-ძიების საქმეში. დიდია

მისი მნიშვნელობა და ღირებულება პროკლე-პეტრიწის თხზულებათა ქართული ორიგინალის შესწავლის საქმეში.

პროკლესა და პეტრიწის ტექსტების სომხური თარგმანი შესრულებულია ქართული ენიდან 1248 წელს სამხრეთ საქართველოში პლინდაჰანქის მონასტერში მოღვაწე სომეხი ქალკედონიტი ბერის, სიმეონ პლინდაჰანცის მიერ. ეს ის სიმეონია, რომელსაც სომხური დიოფიზიტური წრეებისთვის ქართულიდან უთარგმნია სხვა ნაწარმოებებიც, როგორცაა იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ (16), იოანე სინელის „კლემაქსის“ პეტრე გელათელისეული ვერსია, რამდენიმე თხზულება არსენი იყალთოელის „დოგმატიკონიდან“ (2,29-40). ნ. აკინიანი მასვე მიაწერს ბერძნული „საგალობლებისა“ და „ქართლის ცხოვრების“ თარგმნას (4, 1-8).

პროკლეს „კავშირნის“-ის პლინდაჰანცისეულ თარგმანს საინტერესო ბედი ეწია მე-17 ს-ში. სიმეონ ჯუღაეციმ, გარნისის ეპისკოპოსმა, უცვლელად გამოიყენა სიმეონ პლინდაჰანცის მიერ თარგმნილი პროკლეს „კავშირთა“ ტექსტი, ოღონდ პეტრიწის „განმარტებების“ ნაცვლად მას საკუთარი განმარტებები დაურთო. მისი განმარტებები უფრო არისტოტელეს „ორგანონის“ ენაზეა ამეტყველებული, მოხმობილია დიონისე არეოპაგელი, ფილონ ალექსანდრიელი და ამავე დროს, ქრისტიანი საეკლესიო მამები (23, 99-100). ჯუღაეცი თავისი კომენტარებისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში აღნიშნავს პროკლეს თხზულების დიდ ღირებულებას და გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ძველ სომეხ მთარგმნელებს არ უთარგმნიათ პროკლეს ეს შრომა. იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა, არსებობდა ძველი სომხური თარგმანი და იგი დაიკარგა. ჯუღაეცის შეხედულებით, ისიც დასაშვებია, რომ ძველმა სომეხმა მთარგმნელებმა იცოდნენ პროკლეს შრომის კავშირი პორფირი ფინიკიელის „შესავალსა“ და არისტოტელეს „კატეგორიებსა“ და „მეტაფიზიკასთან“ და რადგან ეს შრომები თარგმნილი იყო სომხურად, მათ არ ჩათვალეს საჭიროდ „კავშირნის“ თარგმნა. ჯუღაეცი ხელმეორედ კომენტარების მიზეზად ასახელებს იმას, რომ სიმეონ პლინდაჰანცის თარგმანის მიხედვით ჭირს პროკლეს ტექსტის გაგება (მატენადარანის № 8, 150r).

იმავე მე-17 ს-ში მეორე სომეხმა მწერალმა, სიმეონ ერევანეციმ, ისევ მიმართა პროკლე დიადოხოსის "კავშირთა" სიმეონ პლინძაჰანეცისეულ თარგმანს და თავისი კომენტარები დაურთო მას. სიმეონ ერევანეციც იმავე პრეტენზიებს უყენებს, ახლა უკვე, ჯულაეცის განმარტებებს. მისი სიტყვებით, ჯულაეცის კომენტარებში ბევრი რამ არის შეცვლილი და აზრიც ხშირად არის დამახინჯებული (მატენადარანის № 1837, 108r).

სიმეონ ჯულაეცითა და სიმეონ ერევანეცით არ დამთავრებულა „კავშირისა“ და „განმარტებების“ სომეხური თარგმანების ისტორია. პროკლეს ტექსტი სიმეონ პლინძაჰანეცის სომეხური თარგმანიდან 1757 წელს ხელახლა ითარგმნა ქართულად იოანე ჯამბაკურ-ორბელიანის ინიციატივით და „სხვათა შემწეობით“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A 74, S 192). ჯამბაკურ-ორბელიანს შესანიშნავად სცოდნია პეტრიწისეული თარგმანისა და განმარტებების არსებობა, მაგრამ იგი მობოდიშებით შენიშნავს, რომ პეტრიწისეული თარგმანი ძნელი გასაგები იყო. ხოლო თუ როგორი მეცნიერული და მხატვრული ღირებულებრივი თანაფარდობა არსებობს იოანე პეტრიწის თარგმანსა და იოანე ჯამბაკურ-ორბელიანის „ახალ კავშირს“ შორის, კარგად არის შეფასებული ანტონ ბაგრატიონის (კათალიკოსის) მიერ : „ადამაღლებენ უდიდესითა ქების სიტყვებითა ახალსა კავშირსა, რომელ არს მეტაფისიკად სტოიკელთად, განწყუნილი ვისგანმე სომეხთა ხუცისა, რამეთუ განაგდეს ვიეთმე თვთ იგი მეტაფისიკად სტოიკელთად ახალთა ბრძენთა ქართველთა, თარგმნილი იოანესგან, ფილოსოფოსისა ჩუენისა, და განწყუნილი იგი ტერტერაჲსა ვისგანმე მეტაფისიკად თარგმანებულ ჰყუნეს ენისაგან სომეხთაჲსა ჩუენსა ზედა ენასა“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A 74). პროკლეს „კავშირისა“ და პეტრიწის „განმარტებების“ ქართულ - სომეხური თარგმანების სრული ისტორია ცალკე შესწავლას საჭიროებს.

სიმეონ პლინძაჰანეცის მიერ თარგმნილ პროკლეს „კავშირისა“ და პეტრიწის „განმარტებებს“ სომეხურ ხელნაწერებში ახლავს მთარგმნელის ანდერძი: „ითარგმნა წიგნი ესე, რომელიც არის კავშირი და ღვთისმეტყველების თავი პლატონური ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსისა, სიმეონ უნდო ხუცესმონაზონის მიერ ქართული ენიდან

სომხურ ენაზე, სომხეთის ქვეყანაში, ქართველთა სავანეში, რომელსაც პდინძაჰანქი ეწოდება, დასაბამითგან 6756 [1248წ.]. გვედრები თქვენ, ძმანო, ფრიადი შრომით ვთარგმნე: ჯერ-ერთი, არ ვიყავ ღირსი ასეთი მსახურებისა ცოდვათაგან შებღალულობის გამო, [და] მეორე, რადგანაც ფრიად მოხუცებული ვიყავ და თვალთაგან, გონებისა და ძალისაგან მოუძღვრებული, 60 წლისა ვიყავ.

არ იყო თარგმნილი ჩვენს ენაზე ის, [რაც] ღვთისმეტყველების დედაა. პირველად მოსემ ისწავლა ეს წიგნი და მისი სიტყვებით განაწყო თავისი ღვთისმეტყველება, [აგრეთვე] დიონისე არეოპაგელმა და იეროთეოსმა თავისი წერილები სრულიად მისგან დაწერეს. გრიგოლ ღვთისმეტყველმაც თავისი ღვთისმეტყველება მისით გამოთქვა. ყველა ახალმა [მოღვაწემ] თავისი ღვთისმეტყველება ამავე სიტყვათა თხზულებიდან გამოიყვანა. ესაა საფუძველი და ძირი, დედა ყველასი. ამისგან მიიღეს მათ სისრულე. მაგრამ ისინი მცირე ნაკვეთნი არიან და მეც მის გამო ვთარგმნე, რომ ჩვენი ნათესავი არ იყოს მას მოკლებული. ახლა გვედრებით, რომლებმაც განკარგოთ ანდა გადაიღოთ, მომიხსენეთ ლოცვაში და ჩემი მცირედი სიტყვაც მიაწერეთ და ნურას გამოტოვებთ მისგან” (მატენადარანის ხელნაწერები №1500, 1121; №1832, 309).

ეს ანდერძი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში (1, 17-28; 2, 29-40; 11, 667-668; 22, 151-152; 23, 99-100; 24, 148). მიუხედავად ანდერძის ცნობისა, რომ ძველი სომხური თარგმანი ქართულიდან არის შესრულებული და ამ ცნობას იმეორებენ სიმეონ ჯულაეცი და სიმეონ ერევანეცი, თანამედროვე სომეხ მეცნიერთა მხრივ გარკვეული ეჭვებია გამოთქმული სომხური ტექსტის ქართულიდან წარმომავლობასთან დაკავშირებით. პირველად ამ საკითხზე ეჭვი გამოთქვა არმენოლოგმა ფ. კონიბირმა. სომეხ მკვლევართაგან ზოგმა გაიზიარა კონიბირის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არსებობდა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის“ ძველი სომხური თარგმანი, საიდანაც შესრულდა ქართული თარგმანი და ბოლოს, ამ ქართული დედნიდან ხელახლა ითარგმნა ტექსტი სომხურად (22, 42-45). სომეხი მეცნიერები თავიანთი შეხედულების დასაბუთების მიზნით შემდეგ მონაცემებს ეყრდნობიან: 1. არ არსებობს ქართული თარგმანის შემცველი ძველი ნუსხა, რომელიც

მიღებული ხელოვნური ფორმები გვიანდელ სომხურ ნუსხაში (მატენადარანის №1832) ხშირად სწორდება სომხური ფილოსოფიური ენის ტერმინოლოგიის შესაბამისად.

ბერძნიზმები, რომლებიც უზვად დასტურდება პროკლესა და პეტრიწის ქართულ ტექსტებში, პეტრიწონული სტილის აშკარა გამოვლინებას წარმოადგენს. ბერძნიზმები იმავე სახით არის გადასული სომხურ თარგმანში. სრული უეჭველობით მტკიცდება მთარგმნელის, სიმეონ პლინძაჰანეცის, ანდერძის ცნობა, რომ მისი თარგმანი შესრულებულია ქართული ენიდან.

უამრავი ფაქტობრივი მასალა აშკარად ავლენს სომხური თარგმანის ქართულიდან მომდინარეობას. სომხურ თარგმანში არსებული მთარგმნელობითი კალკები, ტექსტობრივი ლაპსუსები მეტყველებს ქართული ტექსტის პირვანდელიობას.

ორი გარემოება – ერთი, სიმეონ პლინძაჰანეცის თარგმანი რომ თითქმის თანადროულია ქართული ორიგინალისა და ამდენად, დაცულია გვიანი პერიოდის გადამწერ-რედაქტორების მხრივ შესაძლო ჩარევებისაგან, და მეორე, სომხური თარგმანი ქართულის სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს - უცილობლად მიანიშნებს იმაზე, რომ პლინძაჰანეცის თარგმანს ქართული ორიგინალის არქექტივის აღდგენაში, მის გამართვასა და დაზუსტებაში პირველხარისხოვანი როლი ენიჭება.

სრულიად ბუნებრივია, რომ სომხურ თარგმანში სისტემატურად თუ არა, არც თუ იშვიათად, დაცულია ქართული ტექსტის პირვანდელი სახე. მხედველობაშია მისაღები ყოველგვარი გადახვევები ქართული ტექსტიდან, სომხურ თარგმანში დადასტურებული მეტობა-ნაკლებობანი, განსხვავებული წაკითხვები. რასაკვირველია, ყველა მათგანი ქართული დედნის გავლენით არ იქნება განპირობებული. ბევრგან გასათვალისწინებელია სომეხი მთარგმნელის შემოქმედებითი ინიციატივა, მაგრამ ყოველი ცალკეული შემთხვევა საგანგებო შესწავლას თხოულობს.

ქართული და სომხური ტექსტების შედარებით ვლინდება, რომ სომხურ თარგმანს ენიჭება მიუცილებელი საკონტროლო მნიშვნელობა ქართული კრიტიკული ტექსტის დასადგენად.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ისეთი ადგილები, რომლებიც ქართულ ტექსტში რთული და ბუნდოვანი ჩანს. მათი გაგება სომხური თარგმანის მოშველიებით ადვილდება. სომხურ თარგმანში წინადადების წყობის შეცვლა, სინტაგმების გადაადგილება ბევრგან გასაგებად მარტივს აჩენს აზრს.

არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის კონტექსტი ქართულ ტექსტში აშკარად მცდარი ჩანს, ხოლო სომხურ თარგმანში იგი მართებულად არის წარმოდგენილი. ეს უზუსტობა, ალბათ, ქართული ნუსხის გადამწერების მიერ არის დაშვებული ორთოგრაფიულად არაზუსტი წაკითხვის ნიადაგზე. მაგალითად, პეტრიწის „განმარტებათა“ 32-ე თავი ასე იწყება: „საკვრველად და აღმყვანებელად შემდგომთა პირველთა მიმართ ტრფიალებასა დასდებენ იდიოტიმა და სოკრატი“. ლაპარაკია სირათ წყობაში საფეხურებრივ რკალზე, როცა ემანაციისა და ეპისტროფეს წყალობით შემდგომში მიილტვიან უმაღლესისაკენ. ყოველივე არსებულის მისწრაფებას უმაღლესისაკენ განაპირობებს სიყვარული, ტრფიალება. (ცნობილი სიყვარულის ფილოსოფია ნეოპლატონიზმისა, სადაც სიყვარული განაგებს არსთა წყობას, სიყვარული აკავშირებს სამყაროს ერთ მთლიანობაში).

დასახელებულ კონტექსტში სომხურ თარგმანში წერია: *կապასციოქის ს ქსრაქციოქის ქსისიგნ აყაფჩისს ციოქიოქის იქსნ* (227,16). ქართული „საკვრველის“ შესატყვისად სომხურ ტექსტში არის *კაყასციოქის*, რომლის მნიშვნელობაა „კავშირი“, „საკრველი“. კონტექსტის აზრობრივ გაგებას, ცხადია, შეეფერება სომხური *კაყასციოქის* („საკრველი“), რადგან სიყვარული არის შემკრველი და აღმყვანებელი ყოველივესი უმაღლეს ერთთან. დასკვნა: ქართულ დედანშიც იქნებოდა „საკრველი“ და არა „საკვრველი“, როგორც არის ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერებში. აღრევა „საკრველ“/„საკვრველისა“ დაქარაგმების არასწორად გახსნის შედეგად მოხდა ქართულ ხელნაწერებში. მცდარი წაკითხვის დაზუსტების საშუალებას იძლევა სომხური თარგმანი.

ერთ ადგილას (თ. 152) ლაპარაკია ორგვარ ძალაზე: უსაზღვროობით – დედობრივ ძალაზე და პირველ საზღვარზე – მამობრივ ძალაზე. ეს ორი ძალა ქმნის ყოველივეს უკანასკნელ საფეხურამდე. „და ვიდრე რაფომვე მქონებელთა ძალთა და

მოქმედებათა და იხილვების და გაზიდვენ ორნი ესე ძალნი ვიდრე მდელითა და ქცევათა შორისაცა“ 177,16. „მდელითა“ და „ქცევათა“-ს პარალელურად ხმარება მოულოდნელია, რადგან გამოდის, რომ ორი ძალა გაზიდავს ანუ გაამრავლებს ყველაფერს მდელითა და ქცევამდე. ქართულის ამ ბუნდოვანებაში სიცხადე შეაქვს სომხური თარგმანის შესაბამის კონტექსტს. სომხურში წერია: *յարսձգէն... մինչև ցոյսս և քարինս 595,11*. ქართული „ქცევათა“-ს ადგილას სომხურშია *քարինս* ანუ „ქვათა“. აშკარაა, რომ სომხური თარგმანის „ქვათა“ ზუსტად ჯდება კონტექსტში: „ორი ძალა ყველაფერს გაამრავლებს ვიდრე მდელითა და ქცევამდე“. აღრევა ისევ ორთოგრაფულ ნიადაგზე ჩანს მომხდარი. ქართულ ტექსტშიც, ალბათ, დაქარაგმებული სახით ეწერა „ქვათა“, რაც გადამწერის მიერ წაკითხულ იქნა, როგორც „ქცევათა“. ნუსხური -ვ და -ც -ს დაწერილობა ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან და მათი აღრევა ქარაგმის ქვეშ ადვილად დასაშვებია.

ერთგან (პეტრიწის „განმარტებათა“ 55-ე თავი) მსჯელობა ეხება განყოფასა და შეერთებას: „განთვებულ უკუე საუკუნესა შორის გუარნი და ერთსა შორის რიცხუთა თვებანი; და არცა შერწყმულ და არცა შერეულ, არამედ ერთებრივ და არ შერეთებულიცა განიყოფვიან“ (122,4-6). აქ ასეთი აზრია: განთვებული, ე.ი. განცალკევებული არც შერწყმულია და არც - შერეული, არამედ ერთიანად არის. მომდევნო ფრაზა „და არ შერეთებულიცა განიყოფვიან“ გაუგებრობას ბადებს. ამ გაუგებრობაში გარკვევა სომხური თარგმანის მეშვეობით ხერხდება. სომხურ თარგმანში, ქართულისგან განსხვავებით, მეტია სიტყვები: *վասն զի միեզինն և միարուեսկ* = „რამეთუ ერთებრივ და შეერთებულ“. და ამ მეტობის გათვალისწინებით კონტექსტი შემდეგ მნიშვნელობას იძენს: „არცა შერწყმულ და არცა შერეულ, არამედ ერთებრივ, და არცა შეერთებულ, რამეთუ ერთებრივ და შეერთებულ განიყოფვიან“, ე. ი. ქართულ ნუსხებში აკლია ფრაზა ორ „ერთებრივ“ სიტყვას შორის. ამ ლაკუნის აღდგენა შესაძლებელია სომხური თარგმანის მეშვეობით.

ერთგან (45,3-4) პროკლეს „კავშირთა“ ტექსტს (თ. 69) ქართულში აკლია ფრაზა. გამოცემაში ლაკუნის ადგილას მრავალწერტილია დასმული. სომხურ თარგმანში (394,1-5)

დასტურდება ქართულის ნაკლები ადგილი, ამდენად, ქართული ტექსტის შევსება შესაძლებელი ხდება სომხური თარგმანის მეშვეობით.

განსაკუთრებით საყურადღებოა სომხური თარგმანის ისეთი თავისებურება, როცა სომხურ ტექსტში არის ფრაზები, რაც არ არის ქართულ დედანში და არის ბერძნულ ორიგინალში (10,50,15; 116,18-20). ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ფრაზები ქართული თარგმანის ტექსტშიც უნდა ყოფილიყო და ამდენად, შესაძლებელია მათი აღდგენა.

ჩამოთვლილი მაგალითები ცხად-ჰყოფენ სომხური თარგმანის როლსა და მნიშვნელობას პროკლეს „კავშირისა“ და პეტრიწის „განმარტებების“ ქართული ტექსტის შესწავლის საქმეში.

გარდა მთარგმნელობით-სტილისტური მახასიათებლებისა, რომელთა შესახებ ზემოთ მივუთითეთ, სომხური თარგმანი სტრუქტურულადაც იქცევს ყურადღებას. სომხური თარგმანის სტრუქტურის გათვალისწინება საშუალებას იძლევა გარკვეული კორექტივები შევიტანოთ პეტრიწის „განმარტებათა“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ზოგიერთ მოსაზრებაში. კვლევის დღევანდელ ეტაპზე ზოგიერთ მონაცემს არ გააჩნია მყარი არგუმენტის ძალა, მაგრამ იგი აუცილებლად საჭიროებს შესწავლას და სამომავლო კვლევა-ძიებისთვის საყურადღებო პერსპექტივებს იძლევა. მაინც როგორია სტრუქტურულად სომხური თარგმანი?

1. უპირველესად, სომხურშიც, ქართულის მსგავსად, 211 თავი დასტურდება. პროკლეს „კავშირნი“ და პეტრიწის „განმარტებები“ ზუსტად იმ სახით არიან წარმოდგენილი სომხურ ტექსტში, როგორც ქართულში, ე. ი. კიმენისა და სქოლიოს სახით. პროკლეს ტექსტი და პეტრიწის განმარტებები ასოითი სათვალავით არის დანომრილი 1-დან 211 -ის ჩათვლით. პროკლეს ტექსტს მხოლოდ ნომერი უზის, პეტრიწის ტექსტს კი - ნომერი და აბრევიატურა լԵ - լուծմունք („განმარტება“). როგორც პროკლეს ტექსტს, ისე პეტრიწის კომენტარებს წინ უზით აბრევიატურა բն - բնագիր („დედანი“).

2. ქართულისგან განსხვავებით, სომხურ თარგმანში დასტურდება პეტრიწის „განმარტებებისგან“ განსხვავებული

კომენტარები. ისინი დანარჩენი ტექსტისაგან გამოყოფილია მსკ აბრევიატურით – მსსსსსსსს („განმარტება“). ეს უკანასკნელი მოცულობით გაცილებით მცირეა, ვიდრე პეტრიწის განმარტებები. საყურადღებოა, რომ აღნიშნული განმარტებები (მსკ) რამდენიმე შემთხვევაში ახლავს პროკლეს ტექსტს, უმრავლეს შემთხვევაში კი ისინი ჩართულია პეტრიწის კომენტარებში.

შინაარსის მიხედვით, სომხური განმარტებები უფრო მეტად საღვთისმეტყველო ხასიათისაა (წმ. სამება, ანგელოზები, სამოთხე და სხვა), მაგრამ არის ნეოპლატონურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა მატარებელიც. საილუსტრაციოდ ორიოდ ნიმუშს მოვიხმობ:

პროკლეს „კავშირის“ 50-ე თავი ეხება „საუკუნოდა“ და „ჟამიერის“ ცნებების გაგებას. სომხურ თარგმანში ჩართულია შემდეგი შინაარსის განმარტება: „აქ იწყებს თავის სიტყვას გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელიც ამბობს, რომ „ღმერთი იყო და არის და იყოს მარადის“ [8,VII,23]. ასევე მთელი მისი ღვთისმეტყველება. ასევე, დიონოსის სიტყვათა მთელი აზრი და სხვა ღვთისმეტყველებისა ამ წიგნებიდან არის აღებული, და ჭეშმარიტებას შეიმეცნებ, თუ გულმოდგინედ გამოიძიებ“.

შემდეგ, იმავე 50-ე თავის, ახლა უკვე, პეტრიწისეულ კომენტარში, სადაც განმარტებულია შესაბამისი ნაწილი, სომხურ თარგმანში ჩართულია ასეთი განმარტება: „აქედან იწყებს დაყოფას და განსაზღვრებას ღმერთისა და სამარადისოსი – საუკუნეთად, ხოლო ქმნულთა – ჟამიერთად. აქ ნათელი ჩემი პავლე იტყვის : „რომელი იყო და მარადის არს და იყოს“. და ყველა ახლებმა, ამ წიგნებისგან განსწავლულებმა, იღვთისმეტყველეს, რადგან მთლიანად ღვთისმეტყველება არის ეს წიგნები, რადგან ყველა არის ღვთისგან და განღმრთობილთა სულთა“.

ორივე კომენტარი შინაარსობლივ ახლოა ერთმანეთთან. გრიგოლ ღვთისმეტყველისა და დიონოსეს სიბრძნის პროკლეს წიგნთან დაკავშირება, რაზეც მეტყველებს განმარტებათა ანონიმი ავტორი, ძალზე ჰგავს პეტრიწის „განმარტებათა“ შემცველ ქართულ ხელნაწერებში არსებულ ერთ მინაწერს, რომელშიც ასევე ლაპარაკია დიონოსისა და გრიგოლის ღვთისმეტყველების პროკლეს მოძღვრებასთან კავშირის შესახებ (ეროვნული ცენტრის ხელნაწერი H1337, 3r).

შინაარსობლივად იგი საკმაოდ ახლოს არის სიმეონ, სომეხი მთარგმნელის, ანდერძთანაც..

„საუკუნოსა“ და „ჟამიერთა“-ს შესახებ ანონიმის განმარტება სომხურ თარგმანში ჩართულია სხვაგანაც, კერძოდ, 55-ე თავში. პეტრიწის კომენტარში, სადაც იწყება დასაბუთება „მსგავსისა“ და „უმსგავსომს“ შესახებ, ჩართულია ასეთი განმარტება: „იხილე ყოველივე ესე ამ თავში, თუ როგორ დაწვრილებით განსაზღვრავს საუკუნოს და სამარადისო ღმერთს და ღმრთებრივებს. ასევე –ჟამსა და მის ნაწილებს და მათ, რომელნიც მისგან არიან – ჟამიერნი, რომლის ღრმად ძიება და შესწავლა საჭიროა მეცნიერთათვის, რადგან ისინი აუცილებლად შესასწავლი არიან“.

მოყვანილი ნიმუშების მიხედვით, აშკარავდება განმარტებათა ნეოპლატონური მიზანდასახულება.

ვის უნდა ეკუთვნოდეს ეს განმარტებანი? ანონიმის განმარტებების ავთენტურობასთან დაკავშირებით მკვლევრებს განსხვავებული აზრი აქვთ გამოთქმული. ნ. აკინიანის თვალსაზრისით, ორივე ჩანართის ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა და იგი XI ს.-ის მოღვაწე ბერძულმცოდნე ქართველია (3,143). ბ. სარგისიანი მათ ავტორად იმავე სიმეონ პლინძაჰანეცის მიიჩნევს (21,122). საფიქრებელია, რომ სომხურ თარგმანში ქართული ორიგინალისგან განსხვავებული განმარტებების ავტორი, როგორც ამას მიიჩნევს ბ. სარგისიანი, თვითონ მთარგმნელი, სიმეონ პლინძაჰანეცი იყოს. ამ მოსაზრებას ვემხრობით ჩვენც. ამის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ორი მონაცემი: 1) მთარგმნელის ანდერძის სიტყვები : „გვედრებით, რომლებმაც განკარგოთ ანდა გადაიწეროთ, მომიხსენეთ ლოცვაში და ჩემი მცირედი სიტყვაც მიაწერეთ და ნურას გამოტოვებთ მისგან“. მთარგმნელი ითხოვს, რომ მომავალმა რედაქტორებმა ან გადაწერებმა მის მიერ მცირედ ნათქვამი სიტყვაც გადაწერონ და არ გამოტოვონ ისინი. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს მცირედ ნათქვამი სიტყვებია სომხურ თარგმანში ქართულისგან განსხვავებით ჩართული განმარტებები. 2) ანონიმური განმარტებების ზოგიერთი ფრაზა შინაარსობლივ ემთხვევა სომხური თარგმანის ბოლოს ხელნაწერებში დადასტურებულ მთარგმნელისეულ ანდერძს. მათ შორის საერთოა აზრი დიონისეს, გრიგოლ ღვთისმეტყველის, სხვა ახალი ღვთისმეტყველების

მოდღერების ამ წიგნიდან (ანუ პროკლეს წიგნიდან) მომდინარეობის შესახებ. ასეთი შინაარსობლივი დამთხვევა სიმეონ პდინმაჰანეცის სასარგებლოდ მიაქცევს ჩვენს აზრს. შესაძლებელია, რომ განმარტებები სიმეონ პრინმაჰანეცის ორიგინალური ნააზრევი იყოს, ან შესაძლოა, რომ თარგმნის პროცესში და ანდერძის წერის დროს იგი რომელიღაც ანონიმური წყაროთი სარგებლობდა.

3. სომხურ თარგმანს ქართული ორიგინალისგან სტრუქტურულად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი განასხვავებს. ქართულ ხელნაწერებში პროკლეს ტექსტსა და პეტრიწის კომენტარებს წინ უძღვის პეტრიწის წინასიტყვაობა და ბოლოში ერთვის ბოლოსიტყვაობა. სომხურ თარგმანში ბოლოსიტყვაობა არ დასტურდება. 1248 წელს შესრულებულ სომხურ თარგმანში (მატენადარანის №1500 ხელნაწერი მე-13 საუკუნის ბოლოსაა გადაწერილი) ბოლოსიტყვაობა არ არის. ეს ფაქტი საყურადღებოა ბოლოსიტყვაობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილის მიერ გამოთქმულია აზრი, რომ ე. წ. ბოლოსიტყვაობის პირველი ნაწილი წარმოადგენს ფსალმუნთა, როგორც სამების წინასწარმეტყველების წიგნის განმარტების ფრაგმენტებს და ამ თვალსაზრისით, შეიძლება დაუკავშირდეს პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ ძირითად თემას – ტრიადის თემას (14,168-183). ბოლოსიტყვაობა პეტრიწის „განმარტებებს“ რომ არ უკავშირდება, გაიზიარეს სხვა მკვლევარებმაც, მაგრამ მისი რაობისა და შედგენილობის შესახებ განსხვავებული აზრები იქნა წამოყენებული (27, 113-126; 26, 121-139; 19). გამოვლენილია „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობის შემადგენელი ანონიმი ტექსტების რამდენიმე წყარო (12; 13; 28). სომხურ თარგმანში ბოლოსიტყვაობის არ არსებობა პირდაპირ მეთყველებს იმის შესახებ, რომ სიმეონ პდინმაჰანეცის ხელთ არსებულ ქართულ დედანში (რომელიც, ვიმეორებთ, თითქმის თანადროულია ან დროის მცირე მონაკვეთით არის დაშორებული პეტრიწის ტექსტის არქტიპს), ე. წ. ბოლოსიტყვაობის ტექსტი არ დასტურდებოდა.

4. სომხური თარგმანის სტრუქტურული შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გადაისინჯოს და რიგ შემთხვევაში, დაზუსტდეს ქართული ორიგინალის თავთა რაოდენობისა და თანმიმდევრობის შესახებ არსებული

შეხედულებანი. სხვა ფაქტორებთან ერთად სომხურ თარგმანს ამ თვალსაზრისითაც შეიძლება მიენიჭოს ერთგვარი საკონტროლო ფუნქცია ქართული ორიგინალის ტექსტის საბოლოოდ დასაზუსტებლად.

მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა გარკვეული ეჭვია გამოთქმული ამა თუ იმ თავისა თუ კონტექსტის ავთენტურობასთან დაკავშირებით. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ პროკლეს „კავშირთა“ ქართული თარგმანის 129-ე თავი, რომლის დასაწყისია: „ყოველი სული ღმრთებრივი და ეშმაკებრივი“... ეს თავი არ ყოფილა ამ ტრაქტატის შემცველ არც ერთ დღემდე ცნობილ ბერძნულ ხელნაწერში, რის გამოც, ინგლისური გამოცემის ავტორმა, ერიკ-რობერტსონ დოდსმა, იგი არაავთენტურად გამოაცხადა. უკანასკნელ, მკვლევრებმა ლელა ალექსიძემ (5, 41-47; 6, 47-53; 7, 139-151) და ჰანს გიუნტერმა (9, 18-25) დაამტკიცეს ამ თავის ავთენტურობა. ვფიქრობთ, საკითხის საბოლოო დაზუსტებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სომხურ თარგმანს. პროკლეს „კავშირთა“ 129-ე თავი იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ შესაბამისი თავითურთ სომხურ თარგმანში სავსებით იდენტურია ქართული დედნისა. სომხურ თარგმანში მას იგივე ნომერი უზის : პროკლეს ტექსტში - ძქჲ (= 129) და პეტრიწის განმარტებაში – ძქჲ 12 (= 129 კომენტარი). სომხური თარგმანის ტექსტი სიტყვასიტყვით მისდევს ქართული ორიგინალის ტექსტს. სხვა საკითხია, რამდენად გამართულია აზრობრივად თუ ენობრივად აღნიშნული თავის ზოგიერთი მონაკვეთი, ან რამდენად ზუსტად არის გადმოცემული ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა. მაგ. იროთაა = իրոյացոց. դჲაღ „გმირი“-დან ნაწარმოებია მრავლობითი რიცხვის ნანათესაობითარი სახელობითი „იროთაა“. სომხურში იმავე წარმოების (ნანათესაობითარი სახელობითი) სხვა სიტყვაა, კერძოდ საკუთარი ნაცვალსახელი=իրոյացոց. ჯელოვნება=խսացուիქის (სიბრძნე, გონება) // մականուիქის, თბეთაგანი=բնուիქის (ბუნებისაგანი). მიუხედავად არათანმიმდევრული ეკვივალენტებისა, სომხურ ტექსტში სტრუქტურულად ზუსტად ქართული დედნის ანალოგიური სურათი გვაქვს.

5. ქართული დედნისა და სომხური თარგმანის იდენტურობა ერთი მოკლე მინაწერის საფუძველზეც

მტკიცდება. პეტრიწის „განმარტებათა“ 131-ე თავს ქართულ ხელნაწერებში აშიაზე აქვთ მინაწერი: „სხოლიოი იამვლიხოფსი“. ქართულ უძველეს H 1337 ხელნაწერში ეს შენიშვნა შიგ ტექსტშია ჩართული. სომხურშიც ანალოგიური ვითარებაა, იქაც ტექსტში, 131-ე თავის წინ წერია: *Լուծմուք իսմսկիսուի* – „იამვლიხოფსის განმარტებანი“.

6. სომხური თარგმანის ქართულ ორიგინალთან მიმართების შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სომხურ თარგმანში განმარტებების ავტორად ამელახოსის დასახელების ფაქტს. როგორც ცნობილია, პროკლეს „კავშირნსა“ და პეტრიწის „განმარტებებს“ ქართულ ხელნაწერებში სათაური არ გააჩნია, არ დასტურდება იგი უძველეს H1337 ხელნაწერშიც. სომხურ თარგმანში კი „განმარტებათა“ წინ დასტურდება სათაური: *Յոմսկախուի, իմաստասիրի և հոհուրի, Աթենացոց եպիսկոպոսի, Լուծմուք Պրոկլի Դիադոխուսի անուանեցելոյ աստուածաբանութեանց* - „ამელახოსის, ფილოსოფოსისა და რიტორის, ათენელთა ეპისკოპოსის, განმარტებანი პროკლე დიადოხოფის ღმრთისმეტყველებისა“. ამ სათაურის მიხედვით, ავტორად ცხადდება ამელახოს ფილოსოფოსი, ათენელთა ეპისკოპოსი. ამელახოსი მეორეჯერაც არის დასახელებული ტექსტში, იქ, სადაც იწყება პეტრიწის კომენტარები. ამ ადგილას სომხურ ხელნაწერებში წერია: *Սմսկախուի լուծմուք* („ამელახოსის განმარტებანი“).

ვინ არის ამელახოსი? ამელახოსი სახელია თუ ზედწოდება? სომეხ მკვლევართა მიერ გამოთქმულია აზრი, რომ ამელახოსი ბერძენი ავტორია. ბ. სარგისიანის აზრით, შესაძლოა ამ სახელის ქვეშ ქართველი იოანე პეტრიწი იგულისხმებოდეს (21).

ამელახოსი – ასეთი სახელი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სომხურ ონომასტიკონში არ დასტურდება. სახელი ამელახოსი, გარდა პროკლე-პეტრიწის ტექსტებისა, სომხურ მწერლობაში სხვა ნაწარმოებებშიც დასტურდება. ესენია არისტოტელეს „კატეგორიები“ და „პერი ერმენეიას“ თარგმანები (ვენის მხითარისტთა საზოგადოების №112 ხელნაწერი). „ამელახოსი“ სომხურ ხელნაწერებში ცამეტი სხვადასხვა ფორმით გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამელახოსი ზედწოდებაა და არა სახელი. სიტყვა კომპოზიტია, შედგება *սմსկ* „დაგვიანება“, „გაჭიანურება“ და *խու*

„მეტყველი“ ნაწილებისგან და მისი მნიშვნელობაა: „დაგვიანებით, მძიმედ მეტყველი“. ჩემი აზრით, სამსახური – „ამელახოსი“ თავისი მნიშვნელობით სავსებით ემთხვევა იმ მნიშვნელობას, რასაც აღორძინების ხანის ქართველი მწერლები (ტიმოთე გაბაშვილი, იოანე ბატონიშვილი, გერმანე ხუცესმონაზონი) დებდნენ სახელ „პეტრიწში“. მათი შეხედულებით, „პეტრიწი“ ნიშნავს „მძიმედ, მკაცრად გამომეტყველს“. „პეტრიწისა“ და „ამელახოსის“ ეტიმოლოგია – „მძიმედ მეტყველი“ – იძლევა მათი გაიგივების შესაძლებლობას. თავისი მნიშვნელობის გამო, ასევე შეიძლება გვეფიქრა, რომ „ამელახოსი“ არის „ჭიმჭიმელის“ თარგმანი (ცნობილია, რომ ქართველ მკვლევართა ნაწილი ქართულ მწერლობაში ცნობილ იოანე ჭიმჭიმელს იოანე პეტრიწთან აიგივებს (13; 26). ამელახოსის ვინაობის ძიებისას დასადგენია ისიც, თუ რას ნიშნავს მისი „ათენელთა ეპისკოპოსად“ მოხსენიება.

იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ სომხური თარგმანის სათაურში ავტორად ამელახოსის გამოცხადების ფაქტი, მიუხედავად ქართველ და სომეხ მკვლევართა ცდებისა, გარკვეული ახსნა მიეცათ მისთვის, საბოლოოდ დადგენილი არ არის. ეს საკითხი, ვფიქრობთ, კიდევ მოითხოვს დამატებით კვლევას და ქართულ-სომხურ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობებიდან ცნობილ, მაგრამ აქამდე შეუსწავლელ სხვა ნაწარმოებებთან ერთად კომპლექსურ შესწავლას. მხედველობაში გვაქვს ზემოთ ნახსენები არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და „პერი ერმენეიას“ კომენტარების სომხური თარგმანები, რომელთა ავტორად სომხურ ხელნაწერში (ვენის მხითარისტთა საზოგადოების ხელნაწერი №112) იგივე პიროვნება – ამელახოსია დასახელებული. კვლევის ამ კუთხით წარმართვა იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც მე-18 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ცნობებით, იოანე პეტრიწს უთარგმნია და კომენტარები დაურთავს არისტოტელეს აღნიშნული თხზულებებისთვის. მათი თარგმანი ქართული ხელნაწერებით შემორჩენილი არ არის. შესაძლოა, ისინი სომხური თარგმანის სახით იყოს შემონახული (20).

ამგვარად, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში სამი სხვადასხვა ნაწარმოების კომენტარებთან (პროკლეს „კავშირნი“, არისტოტელეს

„კატეგორიები“ და „პერი ერმენეიას“) დაკავშირებით გადაიკვეთა პეტრიწისა და ამელახოსის სახელები. ვფიქრობთ, პროკლეს „კავშირთან“ ერთად სრულიად აუცილებელია არისტოტელეს აღნიშნული თხზულებების სომხური თარგმანების შესწავლა, რამაც შესაძლოა, გარკვეული სინათლე მოჰფინოს ქართული მწერლობისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს: სომხური თარგმანის მიხედვით დამტკიცდეს იოანე პეტრიწის მიერ არისტოტელის თხზულებების თარგმნისა და კომენტირების ფაქტი, რაც გარკვეულ სიახლეებს შეიტანს აღმოსავლურ ქრისტიანულ აზროვნებაში ნეოპლატონიზმისა და არისტოტელიზმის დამკვიდრებისა და ადაპტაციის კომპლექსური კვლევის საქმეში.

მითითებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, ი., „რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე (წინასწარი ცნობა)“, *შრომები*, IV, თბილისი 1985.
2. აბულაძე, ი., „ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები (წინასწარი ნარკვევი)“, *შრომები*, IV, თბილისი 1985.
3. ასქინსას, ს., «Միսնոն Պղնձահասնեցի և նրա թարգմանութիւնսնէրը ի վրացերէնս», *ՀԱ*, № 3-4-5, 1947.
4. ასქინსას, ს., «Միսնոն Պղնձահասնեցի և նրա թարգմանութիւնսնէրը ի վրացերէնս», *ՀԱ*, № 1-3, 1950.
5. ალექსიძე, ლ., „შემეცნების საფეხურები პროკლესა და იოანე პეტრიწის შრომებში“, *მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია*, 7, 1984.
6. Alexidze, L., „Das Kapitel 129 der Elemente der Theologie des Proklos bei Ioane Petrizi.“, *Georgica* (Zeitschrift fuer Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens), 17, 1994.
7. ალექსიძე, ლ., *იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია*, თბილისი 2008.
8. Sancti Gregorii Nazianzeni Opera [Corpus Christianorum, series graecae, 45, Corpus Nazianzenum, 12], Versio iberica, III, Oratio XXXVIII, ed. a H.Metreveli et all., Turnhout-Leuven, 2001

22. Տաշեան, Վ., «Պրոկլի Դիադոխոսի Շաղկապ աստուածաբանականք, Մատենագրական մանր ուսումնասիրութիւնք», ՀԱ, 4, 1892.
23. Տաշեան, Վ., «Պրոկլի Դիադոխոսի Շաղկապ աստուածաբանականք, Մատենագրական մանր ուսումնասիրութիւնք», ՀԱ, 6, 1892.
24. Տաշեան, Վ., «Պրոկլի հնագոյն օրինակք», ՀԱ, 7, 1893.
25. Tisserant, *Codices Armeni Bybliothecae Vaticane*, Romae 1927.
26. Ելիտիշვილი, თ., «იოანე პეტრიწის ერთი ორიგინალური ნაშრომის რაობისა და მნიშვნელობისათვის», *ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე*, 4, 1995.
27. ჭელიძე, ე., «იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა», *რელიგია*, № 3-4-5, 1994.
28. ჭყონია, თ., «იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობის წყაროს შესწავლისათვის», *ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი*, თბილისი 1965.